



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



ივნისი, 2022/ June, 2022

თანამშრომლობის ხელშეკრულებების ნიმუშები
უნივერსიტეტისთვის/კვლევითი ინსტიტუტისთვის და
ბიზნესისთვის კვლევითი პროექტების და სხვა მომსახურების
განსახორციელებლად

Model Collaboration Agreements for University/Research Institution and
Business for implementation of research projects and provision of other services

"ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ,
თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ".
ი.ჭავჭავაძე

Hold hands with your neighbor, join together, and work together
if you want to live in dignity in your country.
I. Chavchavadze

ზოგადი აღწერა:

წინამდებარე თანამშრომლობის ხელშეკრულებების ნიმუშების მიზანია მხარი დაუჭირონ თანამშრომლობას უნივერსიტეტებს/კვლევით დაწესებულებებსა და კომპანიებს შორის, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ კვლევით პროექტებს ან სთავაზობენ სხვა მომსახურებას, უზრუნველყონ მხარეებს შორის თანამშრომლობის სამართლიანი და გამჭვირვალე პირობები და ხელი შეუწყონ მხარეებზე დაკისრებული მოვალეობებისა და ვალდებულებების ეფექტურად შესრულებას.

General description:

The present Model Collaboration Agreements are to support collaboration between universities/research institutions and companies implementing joint research projects or providing other services, ensure fair and transparent terms for collaboration between parties and facilitate efficient execution of the duties and obligations assigned to the parties.

შინაარსი/ Contents

თანამშრომლობის ხელშეკრულების ნიმუში გარე დაფინანსების გარეშე (ქართული ვერსია)	3
თანამშრომლობის ხელშეკრულების ნიმუში გარე დაფინანსებით (ქართული ვერსია)	17
Model Collaboration Agreement without external funding (English version)	33
Model Collaboration Agreement with external funding (English version)	45

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დამშობილების პროექტის „ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“ ფარგლებში შემუშავებული ხელშეკრულებების ნიმუშები.

Model agreements elaborated by Shota Rustaveli National Science Foundation within EU-Funded Twinning Project “Supporting inter-sectoral collaboration possibilities between Research and Industry”

ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კონტრაქტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

This report was created with the support of the European Union, which does not necessarily mean that it reflects the views of the European Union. Only project partners are responsible for the content of the publication.

თანამშრომლობის ხელშეკრულების ნიმუში გარე დაფინანსების გარეშე
(ქართული ვერსია)

თარიღი

_____ 2022

(1) [ჩასვით სახელი]

(2) [ჩასვით სახელი]

ნიმუში

შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ

- (1) წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2022 წლის [უნივერსიტეტი], ერთის მხრივ, [დაწესებულება], რომლის ადმინისტრაციული ოფისები მდებარეობს [ჩასვით მისამართი];
- (2) და
- (3) მეორეს მხრივ [ჩასვით სახელწოდება], კომპანია, რომელიც დარეგისტრირებულია [ჩასვით საიდენტიფიკაციო ნომერი] შემდეგ მისამართზე [ჩასვით მისამართი] ან [ჩასვით თანამშრომლობის შეთანხმებაში მონაწილე მხარის სტატუსი, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს [ჩაწერეთ მთავარი ოფისის მისამართი] (თანამშრომლობის შეთანხმების მხარე „პარტნიორი“ ან „სახელშეკრულებო პარტნიორი“)

შორის:

წინაპირობა

ამ შეთანხმების მხარეებს სურთ ითანამშრომლონ კვლევით პროექტზე სახელწოდებით "[ჩაწერეთ პროექტის სახელი]".

ეს შეთანხმება არეგულირებს მხარეთა თანამშრომლობას ამ პროექტთან დაკავშირებით.

1. განმარტებები და მათი ინტერპრეტაცია

1.1. ამ შეთანხმებაში ქვემოთ მოცემულ განმარტებებს აქვთ მოპირდაპირე მხარეს მოცემული მნიშვნელობა:

სამეცნიერო პუბლიკაცია: აკადემიური მოკლე ანოტაციის, რეფერატის, სტატიის ან სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება ჟურნალში ან ელექტრონულ გამოცემაში, ან მისი წარდგენა კონფერენციაზე ან სემინარზე; და მე -5 და მე -6 პუნქტებში ნახსენები გამოქვეყნება და პუბლიკაცია უნდა ჩაითვალოს ზუსტად ამგვარი მნიშვნელობით;

აკადემიური და სამეცნიერო მიზნები: კვლევა [გარდა [ჩასვით გამონაკლისები]], სწავლება
[და] განათლება [და კლინიკური პაციენტების მოვლა];

ეს შეთანხმება:

ეს დოკუმენტი, მისი დამატებითი მუხლების ჩათვლით, რომლის შესწორება ხდება პერიოდულად, 10.8 პუნქტის შესაბამისად;

მონაცემები

ინფორმაცია, მონაცემები, ტექნიკა, ნოუ-ჰაუ, გამოგონებები, აღმოჩენები, პროგრამული უზრუნველყოფა და მასალები (განურჩევლად იმისა, თუ რა ფორმით ან საშუალებებით ხდება მათი გამჟღავნება ან შენახვა), რომლებიც მიწოდებულია ერთი მხარის მიერ (განურჩევლად იმისა, ეკუთვნის თუ არა ის ამ მხარეს, თუ მესამე მხარეს) მეორე მხარისთვის პროექტში გამოსაყენებლად და წინამდებარე შეთანხმების თარიღამდე თუ შემდგომ, გარდა ნებისმიერი მიღებული შედეგისა;

სამუშაო დღე:

ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით, გარდა სახელმწიფო უქმე დღეებისა და დღესასწაულებისა.

პროექტის დაწყების დრო:

[მიუთითეთ როდის დაიწყო/უნდა დაიწყო პროექტი];

კონფიდენციალური ინფორმაცია:

მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია არის: ნებისმიერი საერთო მონაცემები [ან მასალები], რომლებიც ამ მხარის მიერ გამჟღავნებულია მეორე მხარისათვის პროექტში გამოსაყენებლად [და ითვლება კონფიდენციალურად მის გამჟღავნებამდე ან გამჟღავნების მომენტში]; ნებისმიერი შედეგი, რომელშიც ეს მხარე ფლობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს; ნებისმიერი სხვა ინფორმაცია გამჟღავნებული იმ მხარის მიერ მეორე მხარისათვის პროექტში ან წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად [და ითვლება კონფიდენციალურად მის გამჟღავნებამდე ან გამჟღავნების მომენტში], ან რომელიც თავისი ბუნებით ან გამჟღავნების

გარემოებებით გონივრულად უნდა ჩაითვალოს როგორც კონფიდენციალური];

კონტროლი:

სხვა პირის საქმეების წარმართვის უნარი, იქნება ეს წილის ფლობის საშუალებით, შეთანხმებით თუ სხვა გზით;

[დამფინანსებელი ორგანო:

[მიუთითეთ იმ ორგანოს მონაცემები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გარე დაფინანსება];

[დაფინანსების პირობები:

პირობები, რომლითაც დაფინანსების ორგანო უზრუნველყოფს ნებისმიერ გარე დაფინანსებას], რომლის ასლები თან ერთვის წინამდებარე შეთანხმებას, მე -3 დამატებითი მუხლის სახით;]

[დაწესებულების მასალები

[მასალები], (იქნება ეს უკვე არსებული თუ დამუშავების პროცესში), რომელსაც დაწესებულება შეიტანს პროექტში, ან რომლებიც არის პროექტის საგანი ან ერთ-ერთი საგანი;]

დაწესებულების შედეგები:

[ყველა შედეგი, რომელიც არ არის კოლაბორატორის შედეგები] ან [შედეგები იმ მასშტაბით, რამდენადაც ისინი პირდაპირ კავშირშია [დაწესებულების მონაცემების] [დაწესებულების მასალების] [ან დაწესებულების კონფიდენციალური ინფორმაციის] შემადგენლობასთან, მახასიათებლებთან, წარმოებასთან, განვითარებასთან, გამოყენებასთან ან [ჩასვით კონკრეტული სახის შედეგის აღწერა, რომელსაც უნდა ფლობდეს დაწესებულება]

**ინტელექტუალური
საკუთრების უფლებები:**

პატენტები, უფლებები გამოგონებებზე, სავაჭრო ნიშნებზე, მომსახურების ნიშნებზე, რეგისტრირებულ დიზაინზე, საავტორო და მათთან დაკავშირებული უფლებები, მონაცემთა ბაზის უფლებები, დიზაინის უფლებები, კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების და დაცვის უფლებები, თითოეულ შემთხვევაში რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული, მათ შორის საკონკურსო განაცხადის შეტანის და გრანტის მოპოვების უფლებები და ყველა ზემოაღნიშნულის გამოყენების უფლება, მათი გაგრძელების, ან ნაწილობრივ გაგრძელების უფლება, გამოცალკევებული საპატენტო განაცხადების, განაცხადების განახლების ან გაგრძელების და პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებები, ყველა ზემოაღნიშნული უფლებები და ნებისმიერი მსგავსი უფლებები, რომელიც აღიარებულია პერიოდულად ნებისმიერ იურისდიქციაში, და ნებისმიერი უფლება ზემოაღნიშნული უფლების დარღვევის შემთხვევაში სასამართლოში გასაჩივრების უფლებასთან ერთად;

ნოუ-ჰაუ (ტექნიკური ცოდნა)

დაუპატენტებელი ტექნიკური ინფორმაცია (მათ შორის, გამოგონებებთან, აღმოჩენებთან, კონცეფციებთან, მეთოდოლოგიებთან, მოდელებთან, კვლევასთან, შემუშავებასთან და ტესტირების პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ექსპერიმენტების, ტესტებისა და ცდების შედეგები, წარმოების პროცესები, ტექნოლოგიები და ტექნიკური მახასიათებლები, ხარისხის კონტროლის მონაცემები, ანალიზი, მიმოხილვები და წარდგენილი ანგარიშები), რომელიც არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი;

ადგილმდებარეობა:	ადგილმდებარეობ(ები)ა, სადაც მოხდება პროექტის განხორციელება, როგორც ეს განსაზღვრულია პროექტის გეგმით;
მხარე:	დაწესებულება ან კოლაბორატორი და ნებისმიერი პირი, რომელიც გახდება ამ შეთანხმების მხარე 2.14 პუნქტის შესაბამისად, და ისინი ყველა ერთად წარმოადგენენ შეთანხმების მხარეებს;
მთავარი მკვლევარი:	[მიუთითეთ სახელი] ან 9.2 პუნქტის შესაბამისად მის ნაცვლად დანიშნული პირის სახელი];
პროექტი:	პროექტის გეგმაში აღწერილი მუშაობის პროგრამა;
პროექტის პერიოდი:	2.1. პუნქტში აღწერილი პერიოდი;
პროექტის გეგმა:	წინამდებარე შეთანხმების მე-2 დამატებითი მუხლის სახით წარმოდგენილი პროექტის გეგმა, რომელმაც შეიძლება განიცადოს ცვლილებები პერიოდულად წინამდებარე შეთანხმების [და დაფინანსების ნებისმიერი სხვა პირობების] შესაბამისად;
კვლევის მიზნები:	[ნებისმიერი დანიშნულება კომერციალიზაციის გარდა, ან ლიცენზირება ან გაყიდვა ღირებულების მიხედვით] ან [ექსპერიმენტული მიზნებისთვის განხორციელებული ქმედებები [ან რაიმე ზოგადი ან ინოვაციური სამკურნალო პროდუქტის მარეგულირებელი ნებართვის მისაღებად (მათ შორის ნებისმიერი კლინიკური კვლევისთვის)];

შედეგები:

ყველა ინფორმაცია, მონაცემი, ტექნიკა, ნოუ-ჰაუ, შედეგები, გამოგონებები, აღმოჩენები, პროგრამული უზრუნველყოფა და მასალები (განურჩევლად იმისა, თუ რა ფორმით ან საშუალებებით ხდება მათი გამოქვეყნება ან შენახვა), რომელიც არის გამოვლენილი, ან პირველად გამოყენებული პრაქტიკაში ან წარმოდგენილი წერილობით ფორმაში ან შემუშავებული პროექტის მსვლელობაში;

ცვლილებები შეთანხმებაში :

წერილობითი შეთანხმება, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან მათი სახელით და წინამდებარე შეთანხმების ნებისმიერი ახალი მხარე; და

2. ხელშეკრულების საგანი

მხარეები განახორციელებენ კვლევით პროექტს, რომელიც დეტალურად აღწერილია (შემდგომში იწოდება, როგორც „პროექტი“). წინამდებარე თანამშრომლობის ხელშეკრულება არეგულირებს ხელშეკრულების მხარეებს შორის თანამშრომლობას აღნიშნული პროექტის ფარგლებში.

3. დროის განრიგი და სამუშაოს შესრულება

3.1. აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის, პროექტის გეგმით გათვალისწინებულია დროის განრიგი და სამუშაო გრაფიკი. თუ სამუშაო შეთანხმებულ ვადაში ვერ სრულდება, ხელშეკრულების მხარეები დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით ატყობინებენ ერთმანეთს ამის შესახებ.

3.2. ცალკეული ხელშეკრულების მხარეების მომსახურების ჩამონათვალი განისაზღვრება სამუშაოთი და დროის განრიგით. ნებისმიერი ცვლილება სამუშაო გრაფიკსა და დროის განრიგთან მიმართებით უნდა გაფორმდეს წერილობით, ყველა მხარის ხელმოწერით და უნდა ჩანაცვლდეს ან დაერთოს სამუშაოს გრაფიკისა და დროის განრიგის ორიგინალს, თავდაპირველ ვერსიას.

3.3. მხარეები ვალდებული არიან, შეასრულონ შეთანხმებული დავალებები და ქვე-დავალებები, სამუშაო გეგმისა და გრაფიკის შესაბამისად, და გააზიარონ ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია პროექტის განხორციელებისთვის.

3.4. სხვა დანარჩენ შემთხვევებში, თითოეული მხარე ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

3.5. პროექტის კოორდინაცია და კონსორციუმის მენეჯმენტი განხორციელდება (1) [ჩასვით სახელი] -ის მიერ.

3.6. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტში ჩართული მხარეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებამდე არ იქნება განრიდებული თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული გამომდინარეობს ძირითადი პერსონალის პირადი განცხადებით.

4. დაფინანსება

ჩართული მხარეები თავად ფარავენ საკუთარ ხარჯებს.

5. საკუთრების უფლებები და საავტორო უფლებები

მხარეები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ნებისმიერი გამოგონების ხელმისაწვდომობის უფლებების რეგულირება შრომითი ხელშეკრულებების ან სამუშაოს და მომსახურების ხელშეკრულებებში შესაბამისი დებულებებით ისე, რომ არ შეიზღუდოს ქვემოთ დადებული ხელშეკრულებების მიზანშეწონილობა.

განმარტებისთვის, მე-4 დებულებით განსაზღვრული წესი საკუთრების უფლებებზე ანალოგიურად ვრცელდება პროგრამულ უზრუნველყოფაზეც.

5.1. წინასწარ არსებული საკუთრების უფლებები

5.1.1. თითოეული მხარე არის და რჩება მესაკუთრედ იმ გამოგონებების, საწარმოო საკუთრების უფლებების, საწარმოო საკუთრების უფლებების განაცხადების, საავტორო უფლებების და ნოუ-ჰაუსის, რომლებიც მის მიერ მოპოვებულია ამ პროექტამდე და ამ პროექტის მიღმა (შემდგომში წოდებული, როგორც „არსებული საწარმოო საკუთრების უფლებები“).

5.1.2. მათი ცოდნისა და მრწამსის შესაბამისად, მხარეები აცნობენ ერთმანეთს, პროექტის დაწყებამდე და შემდგომ, პროექტის მიმდინარეობისას წინასწარ არსებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია პროექტის განხორციელებისთვის. ამასთანავე, მათი ცოდნისა და მრწამსის შესაბამისად, ისინი აცნობენ ერთმანეთს, რომელ მესამე მხარეებს შეუძლიათ წინასწარ არსებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენება და შესაბამისი მესაკუთრე რამდენად არის შეზღუდული ასეთი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენებისგან.

5.1.3. ამდენად, რადგან ძველი საკუთრების უფლებები აუცილებელია პროექტის განხორციელებისთვის და მესამე მხარეთა უფლებებთან წინააღმდეგობა არ არსებობს, შესაბამისი მხარე მეორე მხარეს ანიჭებს გამოყენების თავისუფალ და

არაექსკლუზიურ უფლებას, რომელიც შემოიფარგლება პროექტის მიზნებითა და ხანგრძლივობით. აღნიშნული არ ითვალისწინებს ქვე-ლიცენზიების მინიჭების უფლებას.

5.1.4. თუ ერთი მხარე ითხოვს ძველ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს პროექტის დასრულების შემდგომ, პროექტიდან ცოდნის გამოყენების მიზნით, შესაბამისი მხარე მეორე მხარეს ანიჭებს უფლებას, ძველ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე ხელმისაწვდომობის უფლებებს თავისუფალი ბაზრის პირობებში, სადაც მხარეები ცალკე დებენ ლიცენზიის ხელშეკრულებას.

5.1.5. ზემოთ აღნიშნული დებულებები ვრცელდება *mutatis mutandis* იმ ნოუ-ჰაუზე, რომელიც შემუშავდა თითოეული მხარის მიერ პროექტის დაწყებამდე, წინასწარ არსებულ საავტორო უფლებებსა და საავტორო კანონმდებლობით უფლებების გამოყენებაზე.

5.2 ახალი საავტორო უფლებები

5.2.1. თუ პროექტის განხორციელებისას გამოიგონეს ისეთი რამეები, რომლებიც შესაძლებელია წარმოქმნიდნენ საწარმოო საკუთრების უფლებებს ან სამუშაოს, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით (შემდგომში წოდებული, როგორც „ახალი საწარმოო საკუთრების უფლებები“), მხარე, რომლის თანამშრომელი(ებ)ი ქმნის გამოგონებას, ხდება მესაკუთრე და ენიჭება უფლება, განაცხადი გააკეთოს საწარმოო საკუთრების უფლებებზე და შესაბამისად გამოიყენოს ისინი.

5.2.2. თუ მხარე, არ გააკეთებს განაცხადს პატენტზე ან გამოგონების გამოყენების მოდელზე ოთხი თვის განმავლობაში, ან თუ მხარე აღარ არის დაინტერესებული მასზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებით, ის აცნობებს მეორე მხარე(ებ)ს წერილობითი ფორმით გონივრულ ვადაში ისე, რომ მათ შეძლონ განაცხადი გააკეთონ ან მოიპოვონ ახალი ინტელექტუალური საკუთრების უფლება თავიანთი, საკუთარი ხარჯით. თუ მეორე მხარე(ები) დაინტერესებულია, მხარეს აცნობებენ ინტელექტუალური საკუთრების უფლების გადაცემის ან გაგრძელების შესახებ ექვსი კვირის განმავლობაში შეტყობინების მიღებიდან. ასეთ შემთხვევაში, მხარე თანახმაა, გადასცეს ახალი საკუთრების უფლება დაინტერესებულ მხარე(ებ)ს ან გადასცემს მისი/მათი ხარჯით, სადაც არსებული მხარე(ებ)ი, როგორც ახალი მესაკუთრე(ებ)ი ისარგებლებენ შემდგომი გამოყენების უფლებით საკუთრების უფლებასთან მიმართებით. საკუთრების უფლების გადაცემის პირობები უნდა შეთანხმდეს ცალკე, წერილობითი ფორმით, დაინტერესებულ მხარეებს შორის.

5.2.3. თუ ერთ ან მეტ მხარეს აქვს სურვილი, მოიპოვოს ინტელექტუალური საკუთრების უფლება იმ ქვეყანაში, სადაც მეორე მხარე არ გეგმავს რაიმე უფლებების მიღებას, წინამდებარე უცხოურ ინტელექტუალური საკუთრების უფლებასთან მიმართებით ყველა უფლება გამოგონებაზე უსასყიდლოდ გადაეცემა მხარეს ან მხარეებს, ვისაც აქვს სურვილი, მოიპოვოს ინტელექტუალური საკუთრების უფლება შესაბამის ქვეყანაში, ამასთანავე, ეს მხარეები ფარავენ ყველა შესაძლო ხარჯს. დაინტერესებული მხარე(ებ)ი უფლებამოსილია, შემდგომში გამოიყენოს ინტელექტუალური საკუთრების უფლება შესაბამის ქვეყანაში.

5.2.4. შესაბამის პროექტში ჩართულ ყველა სამეცნიერო მხარეს შეუძლია თავისუფლად და შეუზღუდავად გამოიყენოს შედეგები და პროექტის საკუთრების უფლებები სამეცნიერო მიზნებით კვლევისას და სწავლებისას. კვლევის შედეგების კომერციული გამოყენება რომელიმე მხარის მიერ მესამე მხარეებთან, ასევე, კომერციული გამოყენება შესაძლებელია იმ პირობებით, რომელიც შეესაბამება ბაზარს და ცალკე დადებულ ლიცენზიის ხელშეკრულებას ჩართულ მხარეებს შორის.

5.3. ერთობლივი გამოგონება

5.3.1. პროექტის მსვლელობისას თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლება წარმოიშობა ერთობლივად რამდენიმე მხარის თანამშრომლების მუშაობის შედეგად და აღნიშნული ატარებს ისეთ ხასიათს, რომლის გაყოფა შეუძლებელია ან არარეკომენდებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სარგებლობისთვის, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეებად ითვლებიან დაინტერესებული მხარეები (შემდგომში წოდებული „საერთო ინტელექტუალური საკუთრების უფლებები“). დაინტერესებული მხარეები თანხმდებიან, რომ საერთო ინტელექტუალური საკუთრების უფლებები გამოიყენება ერთობლივად მხარეების მიერ, შეზღუდვების გარეშე.

5.3.2. საერთო საკუთრების უფლებების შემთხვევაში მხარეები განსაზღვრავენ ასოცირებულ უფლებებს და მოვალეობებს წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, საკუთრების უფლებების გამოყენებამდე. აღნიშნული მოიცავს, კერძოდ: ცალკეული მხარის ჩართული თანამშრომლების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას, ასევე, მათ მონაწილეობას საერთო ინტელექტუალური საკუთრების უფლების წარმოშობის საქმეში, სადაც განაწილება განისაზღვრება საერთო ინტელექტუალური საკუთრების უფლებიდან; დამატებით, წინამდებარე ხელშეკრულება ადგენს მესაკუთრე კონსორციუმის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას vis-à-vis საპატენტო ოფისებთან, ასევე, დაფინანსების სახეებს და საპატენტო პროცედურის სტრატეგიას, სტრატეგიების გამოყენებისას გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

5.3.3. მხარეები თანხმდებიან ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხარჯებზე, მათ შორის, გარე საპატენტო ადვოკატების მიერ საპატენტო განაცხადების მომზადების ხარჯებზე, ცალკეული საქმეების მიხედვით, სადაც განაწილება ეფუძნება შესაბამისი მხარეების გამომგონებელთა წილებს. თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, ხარჯები მხარეებს შორის ნაწილდება თანაბრად. საერთო საკუთრების უფლების მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მესამე მხარეებს მიანიჭონ სარგებლობის არაექსკლუზიური უფლებები. საერთო მესაკუთრე ყველა მხარე უფლებამოსილია, მიიღოს თანაბარი ანაზღაურება მეორე მხარის მიერ მესამე მხარისთვის სარგებლობის უფლების მინიჭებით ან სხვა კომერციული სარგებლობისას. ანაზღაურება განისაზღვრება წერილობითი ფორმით ცალკეულ საქმეზე.

5.4. მესამე მხარეთა საწარმოო საკუთრების უფლებები

5.4.1. მხარეები ყველანაირად უნდა შეეცადონ, რომ მათი განვითარების სერვისები არ არღვევდეს მესამე მხარეთა საკუთრების უფლებებს. თუ მათი განვითარების სერვისების გამოყენება იწვევს მესამე მხარის საკუთრების უფლების დარღვევას, მხარეებმა ამის შესახებ ერთმანეთს უნდა აცნობონ დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით.

5.4.2. უფრო მეტიც, მხარეები მეორე მხარეებს დაუყოვნებლივ აცნობენ მესამე მხარეთა არსებული საკუთრების უფლებების შესახებ, რომლებიც უკვე ცნობილია ან გახდა ცნობილი პროექტის განხორციელებისას ან პროექტთან დაკავშირებით.

5.5. გამოგონებისთვის ანაზღაურება

მხარე, რომელიც იღებს შემოსავალს ან შემოსავლის ლიცენზირებას ახდენს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენებით, ვალდებულია, ყველა შესაბამის გამომგონებელს გადაუხადოს გამოგონებისთვის ანაზღაურება. თუ მხარეს გააჩნია შიდა რეგულაცია და ის შეესაბამება სამართლებრივ საფუძველს, ის გამოითვლის გამოგონების ანაზღაურებას მეორე მხარის თანამშრომლებისთვის იმავე რეგულაციების თანახმად. გამოგონებისთვის ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, ასევე, ვრცელდება შესაბამის გადახდებზე გამოგონებისთვის ანაზღაურებიდან გამომდინარე, რომელიც წარმოიშობა შეცვლილი ბაზრის ან ღირებულების მდგომარეობიდან. დაინტერესებული მხარე ანაზღაურებს და იცავს მეორე მხარეებს ზიანისა და გამომგონებლების საჩივრებისგან.

6. გამოცემის თავისუფლება

6.1. პროექტში ჩართული მხარეები აღიარებენ უნივერსიტეტისა და მისი თანამშრომლების ფუნდამენტურ მოვალეობას, პერიოდულად გამოაქვეყნონ მათი კვლევითი საქმიანობის ბუნება, მისი საგანი და შედეგები.

6.2. ამასთანავე, კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები არ არის დარღვეული, კერძოდ, მხარეს არ გააჩნია დაცვის ინტერესი ან/და ეკონომიკური ინტერესები, მხარეები უფლებამოსილნი არიან დამოუკიდებლად გამოაქვეყნონ პროექტის შედეგები სამეცნიერო გამოცემისთვის. დაინტერესებულმა მხარემ წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს სხვებს დაგეგმილი გამოცემის შესახებ. თუ სხვა მხარეები დაგეგმილ გამოცემას არ გამოეხმაურებიან აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში, გამოცემაზე თანხმობა მიღებულად ჩაითვლება ორ-კვირიანი ვადის გასვლის შემდგომ. თანხმობა უარყოფილი იქნება მხოლოდ მატერიალური მიზნებით.

7. კონფიდენციალურობა

7.1. ხელშეკრულების მხარეები სხვა ხელშეკრულების მხარისგან კონფიდენციალურად ინახავენ ყველა ცოდნას, დოკუმენტს, დავალებას და ბიზნეს ტრანზაქციებს, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ან პროექტის მიმდინარეობისას, თუნდაც წინამდებარე ხელშეკრულების ვადის მიღმა და არ უნდა გადასცენ ის მესამე მხარეებს შეთანხმების გარეშე, როგორც აღნიშნა, ინფორმაცია და შედეგები არ

წარმოადგენს საერთო საკუთრებას ან წინაპირობას გამოცემისთვის, თანახმად 6.3. დებულებისა, არ არის მოცემული.

7.2. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მხარეთა თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია და შედეგები უნდა დარჩეს კონფიდენციალურად (კერძოდ, აღნიშნული შეეხება დასაპატენტებელ გამოგონებას) და არ უნდა გადაეცეს მესამე მხარეს ხელშეკრულების მოქმედებისას ან მისი დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. მხარეები უზრუნველყოფენ შესაბამისი ჩართული თანამშრომლების მიერ კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვას.

7.3. კონფიდენციალურობის დაცვისგან თავისუფალია ის ინფორმაცია, რომელიც:

- მიმღების მიერ უკვე ცნობილი იყო კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების აღებამდე ან
- არის ან გახდა საჯაროდ ცნობილი მიმღების გარეშე, რომელიც არ იყო ამაზე პასუხისმგებელი ან
- გახდა ცნობილი მიმღებისთვის მესამე მხარის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის პირობის გარეშე ან
- აშკარად, დამოუკიდებლად შემუშავდა მიმღების მიერ ან
- სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად, ხელმისაწვდომი გახდა საჯარო მოსამსახურეებისთვის ან
- გამოქვეყნდა წერილობითი ფორმით, გამოცემის სახით ხელშეკრულების მხარის მიერ.

7.4. მხარეთა უფლებები, გამოაქვეყნონ შედეგები სამეცნიერო მიზნით და თანახმად მე-5.2 დებულებისა, ითვლება გამონაკლისად, რადგან აშკარად არ ამცირებს სხვა მხარეთა კონკურენტუნარიან ინტერესებს.

8. გარანტია და პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები აცნობიერებენ კვლევასა და განვითარების პროექტთან დაკავშირებული წარმატების რისკებს და შეასრულებენ სამუშაოს გონივრული სიფრთხილით, განხორციელების დროისთვის მათთვის ცნობილი თანამედროვე, დამკვიდრებული წესების მიხედვით და შეეცდებიან, მიაღწიონ პროექტის მიზანს და სასურველ შედეგებს, დამატებით გარანტიების, პასუხისმგებლობის ან პროექტის მიზნისა და დაგეგმილი შედეგების ან მათი საწარმოო და ეკონომიკური სარგებლობის გარანტიების გარეშე.

8.2. ხელშეკრულების ყველა მხარე ვალდებულია, დაემორჩილოს ყველა შესაბამის, კანონით დადგენილ დებულებებს და ოფიციალურ მოთხოვნებს მათი საქმიანობის განხორციელებისას.

8.3. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი რამე სახის ზიანზე, რომელიც წარმოიშობა მხარის ან მესამე მხარის მიერ კვლევის შედეგების გამოყენებისას.

8.4. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი მცირე გადაცდომის შემთხვევის დადგომისას. მხარეებს შორის პასუხისმგებლობა შეზღუდულია იმ ოდენობით, რასაც მათი შესაბამისი პროექტის წილი მოიცავს.

9. დავის გადაწყვეტა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით;

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განხილული და გადაწყვეტილ უნდა იქნას:

[გთხოვთ ამოირჩიეთ:]

9.2.1. არბიტრაჟი - ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს [ჩასვით დასახელება], [ჩასვით მისამართი].

(ან)

9.2.1. საქართველოს სასამართლო - წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე დავები უნდა გადაწყდეს საქართველოს სასამართლოში.

10. ხელშეკრულების ხანგრძლივობა და დასრულება

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და სრულდება პროექტის ვადის ბოლოს.

10.2. შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საპატიო მიზეზით.

10.3. მე-6 დებულებით განსაზღვრული კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში.

10.4. მე-4, მე-5 და მე-7 დებულებები მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების დასრულების შემდგომაც.

11. ზოგადი

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებით წარმოშობილი ყველა დავისთვის განსჯადობის ადგილი არის იქსი, იქსი კანონმდებლობა გამოიყენება.

11.2. ყველა დამატებითი შეთანხმება, ცვლილება და დანართი კვლევით თანამშრომლობასთან დაკავშირებით სრულდება წერილობითი ფორმით. ზეპირი შეთანხმებები ძალადაკარგულად ითვლება.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში ერთი ან რამდენიმე დებულება ჩაითვლება ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ მოახდენს დანარჩენი დებულებების მოქმედებაზე. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან, ჩაანაცვლონ

ასეთი ძალადაკარგული დებულებები და ნებისმიერი ხარვეზი ხელშეკრულებაში, რომელიც აშკარა და თვალსაჩინოა იმ ახალი, მოქმედი ვალდებულებებით, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების მიზანს.

11.4. ნებისმიერი ხარჯი და გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების შედგენასა და შესრულებასთან, ასევე, სამართლებრივ კონსულტაციასთან დაკავშირებული ხარჯები იფარება ხელშეკრულების თითოეული მხარის მიერ.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ, თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

ადგილი, თარიღი

(უნივერსიტეტი/კვლევითი
ინსტიტუტი)

[ჩასვით დეტალები]

(პარტნიორი ან სახელშეკრულებო
პარტნიორი)

[ჩასვით დეტალები]

თანამშრომლობის ხელშეკრულების ნიმუში გარე დაფინანსებით
(ქართული ვერსია)

თარიღი _____ 2022

(1) [ჩასვით სახელი]

(2) [ჩასვით სახელი]

ნიმუში
შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2022 წლის [უნივერსიტეტი/კვლევითი ინსტიტუტი], ერთის მხრივ, [დაწესებულება], რომლის ადმინისტრაციული ოფისები მდებარეობს [ჩასვით მისამართი];

და

მეორეს მხრივ [ჩასვით სახელწოდება], კომპანია, რომელიც დარეგისტრირებულია [ჩასვით საიდენტიფიკაციო ნომერი] შემდეგ მისამართზე [ჩასვით მისამართი] ან [ჩასვით თანამშრომლობის შეთანხმებაში მონაწილე მხარის სტატუსი, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს [ჩაწერეთ მთავარი ოფისის მისამართი] (თანამშრომლობის შეთანხმების მხარე „კოლაბორატორი“)

შორის:

წინაპირობა

ამ შეთანხმების მხარეებს სურთ ითანამშრომლონ კვლევით პროექტზე სახელწოდებით "[ჩაწერეთ პროექტის სახელი]".

ეს შეთანხმება არეგულირებს მხარეთა თანამშრომლობას ამ პროექტთან დაკავშირებით.

1. განმარტებები და მათი ინტერპრეტაცია

1.1 ამ შეთანხმებაში ქვემოთ მოცემულ განმარტებებს აქვთ მოპირდაპირე მხარეს მოცემული მნიშვნელობა:

სამეცნიერო პუბლიკაცია: აკადემიური მოკლე ანოტაციის, რეფერატის, სტატიის ან სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება ჟურნალში ან ელექტრონულ გამოცემაში, ან მისი წარდგენა კონფერენციაზე ან სემინარზე; და მე -5 და მე -6 პუნქტებში ნახსენები გამოქვეყნება და პუბლიკაცია უნდა ჩაითვალოს ზუსტად ამგვარი მნიშვნელობით;

აკადემიური და სამეცნიერო მიზნები: კვლევა [გარდა [ჩასვით გაონაკლისები]], სწავლება [და] განათლება [და კლინიკური პაციენტების მოვლა];

ეს შეთანხმება: ეს დოკუმენტი, მისი დამატებითი მუხლების ჩათვლით, რომლის შესწორება ხდება პერიოდულად, 10.8 პუნქტის შესაბამისად;

მონაცემები

ინფორმაცია, მონაცემები, ტექნიკა, ნოუ-ჰაუ, გამოგონებები, აღმოჩენები, პროგრამული უზრუნველყოფა და მასალები (განურჩევლად იმისა, თუ რა ფორმით ან საშუალებებით ხდება მათი გამჟღავნება ან შენახვა), რომლებიც მიწოდებულია ერთი მხარის მიერ (განურჩევლად იმისა, ეკუთვნის თუ არა ის ამ მხარეს, თუ მესამე მხარეს) მეორე მხარისთვის პროექტში გამოსაყენებლად და წინამდებარე შეთანხმების თარიღამდე თუ შემდგომ, გარდა ნებისმიერი მიღებული შედეგისა;

სამუშაო დღე:

ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით, გარდა სახელმწიფო უქმე დღეებისა და დღესასწაულებისა.

[კოლაბორატორის მასალები:

[მასალები], (უკვე არსებული თუ დამუშავების პროცესში), რომელსაც კოლაბორატორი შეიტანს პროექტში, ან რომლებიც არის პროექტის საგანი ან ერთ-ერთი საგანი;]

კოლაბორატორის შედეგები:

შედეგები იმ მასშტაბით, რამდენადაც ისინი პირდაპირ კავშირშია [კოლაბორატორის მონაცემების] [კოლაბორატორის მასალების] [ან კოლაბორატორის კონფიდენციალური ინფორმაციის] შემადგენლობასთან, მახასიათებლებთან, წარმოებასთან, განვითარებასთან, გამოყენებასთან ან [ჩასვით კონკრეტული სახის შედეგის აღწერა, რომელსაც უნდა ფლობდეს კოლაბორატორი];

**კოლაბორატორის
ზედამხედველი:**

[მიუთითეთ სახელი] ან 9.2 პუნქტის შესაბამისად მის ნაცვლად დანიშნული პირის სახელი];

პროექტის დაწყების დრო:

[მიუთითეთ როდის დაიწყო/უნდა დაიწყოს პროექტი];

**კონფიდენციალური
ინფორმაცია:**

მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია არის: ნებისმიერი საერთო მონაცემები [ან მასალები], რომლებიც ამ მხარის მიერ გამჟღავნებულია მეორე მხარისათვის პროექტში გამოსაყენებლად [და ითვლება კონფიდენციალურად მის გამჟღავნებამდე ან გამჟღავნების მომენტში]; ნებისმიერი შედეგი, რომელშიც ეს მხარე ფლობს

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს; ნებისმიერი სხვა ინფორმაცია გამჟღავნებული იმ მხარის მიერ მეორე მხარისათვის პროექტში ან წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად [და ითვლება კონფიდენციალურად მის გამჟღავნებამდე ან გამჟღავნების მომენტში], ან რომელიც თავისი ბუნებით ან გამჟღავნების გარემოებებით გონივრულად უნდა ჩაითვალოს როგორც კონფიდენციალური];

კონტროლი:

სხვა პირის საქმეების წარმართვის უნარი, იქნება ეს წილის ფლობის საშუალებით, შეთანხმებით თუ სხვა გზით;

[დამფინანსებელი ორგანო:

[მიუთითეთ იმ ორგანოს მონაცემები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გარე დაფინანსება];

[დაფინანსების პირობები:

პირობები, რომლითაც დაფინანსების ორგანო უზრუნველყოფს ნებისმიერ გარე დაფინანსებას], რომლის ასლები თან ერთვის წინამდებარე შეთანხმებას, მე -3 დამატებითი მუხლის სახით;]

[დაწესებულების მასალები

[მასალები], (იქნება ეს უკვე არსებული თუ დამუშავების პროცესში), რომელსაც დაწესებულება შეიტანს პროექტში, ან რომელიც არის პროექტის საგანი ან ერთ-ერთი საგანი;]

დაწესებულების შედეგები:

[ყველა შედეგი, რომელიც არ არის კოლაბორატორის შედეგები] ან [შედეგები იმ მასშტაბით, რამდენადაც ისინი პირდაპირ კავშირშია [დაწესებულების მონაცემების] [დაწესებულების მასალების] [ან დაწესებულების კონფიდენციალური ინფორმაციის] შემადგენლობასთან, მახასიათებლებთან, წარმოებასთან, განვითარებასთან, გამოყენებასთან ან [ჩასვით კონკრეტული სახის შედეგის აღწერა, რომელსაც უნდა ფლობდეს დაწესებულება]

**ინტელექტუალური
საკუთრების უფლებები:**

პატენტები, უფლებები გამოგონებებზე, სავაჭრო ნიშნებზე, მომსახურების ნიშნებზე, რეგისტრირებულ დიზაინზე, საავტორო და მათთან დაკავშირებული უფლებები, მონაცემთა ბაზის უფლებები, დიზაინის უფლებები, კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების და დაცვის უფლებები, თითოეულ შემთხვევაში რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული, მათ შორის საკონკურსო განაცხადის შეტანის და გრანტის მოპოვების უფლებები და ყველა ზემოაღნიშნულის გამოყენების უფლება, მათი გაგრძელების, ან ნაწილობრივ გაგრძელების უფლება, გამოცალკევებული საპატენტო განაცხადების, განაცხადების განახლების ან გაგრძელების და პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებები, ყველა ზემოაღნიშნული უფლებები და ნებისმიერი მსგავსი უფლებები, რომელიც აღიარებულია პერიოდულად ნებისმიერ იურისდიქციაში, და ნებისმიერი უფლება ზემოაღნიშნული უფლების დარღვევის შემთხვევაში სასამართლოში გასაჩივრების უფლებასთან ერთად;

ძირითადი პერსონალი:

მთავარი მკვლევარი, კოლაბორატორის ზედამხედველი და ნებისმიერი სხვა ძირითადი პერსონალი, რომელიც განსაზღვრულია პროექტის გეგმაში;

ნოუ-ჰაუ (ტექნიკური ცოდნა)

დაუპატენტებელი ტექნიკური ინფორმაცია (მათ შორის, გამოგონებებთან, აღმოჩენებთან, კონცეფციებთან, მეთოდოლოგიებთან, მოდელებთან, კვლევასთან, შემუშავებასთან და ტესტირების პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ექსპერიმენტების, ტესტებისა და ცდების შედეგები, წარმოების პროცესები, ტექნოლოგიები და ტექნიკური მახასიათებლები, ხარისხის კონტროლის მონაცემები, ანალიზი, მიმოხილვები და წარდგენილი ანგარიშები), რომელიც არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი;

ადგილმდებარეობა:

ადგილმდებარეობ(ებ)ა, სადაც მოხდება პროექტის განხორციელება, როგორც ეს განსაზღვრულია პროექტის გეგმით;

მხარე:	დაწესებულება ან კოლაბორატორი და ნებისმიერი პირი, რომელიც გახდება ამ შეთანხმების მხარე 2.14 პუნქტის შესაბამისად, და ისინი ყველა ერთად წარმოადგენენ შეთანხმების მხარეებს ;
მთავარი მკვლევარი:	[მიუთითეთ სახელი] ან 9.2 პუნქტის შესაბამისად მის ნაცვლად დანიშნული პირის სახელი];
პროექტი:	პროექტის გეგმაში აღწერილი მუშაობის პროგრამა;
პროექტის პერიოდი:	2.1 პუნქტში აღწერილი პერიოდი;
პროექტის გეგმა:	წინამდებარე შეთანხმების მე-2 დამატებითი მუხლის სახით წარმოდგენილი პროექტის გეგმა, რომელმაც შეიძლება განიცადოს ცლილებები პერიოდულად წინამდებარე შეთანხმების [და დაფინანსების ნებისმიერი სხვა პირობების] შესაბამისად;
კვლევის მიზნები:	[ნებისმიერი დანიშნულება კომერციალიზაციის გარდა, ან ლიცენზირება ან გაყიდვა ღირებულების მიხედვით] ან [ექსპერიმენტული მიზნებისთვის განხორციელებული ქმედებები [ან რაიმე ზოგადი ან ინოვაციური სამკურნალო პროდუქტის მარეგულირებელი ნებართვის მისაღებად (მათ შორის ნებისმიერი კლინიკური კვლევისთვის)];
შედეგები:	ყველა ინფორმაცია, მონაცემი, ტექნიკა, ნოუ-ჰაუ, შედეგები, გამოგონებები, აღმოჩენები, პროგრამული უზრუნველყოფა და მასალები (განურჩევლად იმისა, თუ რა ფორმით ან საშუალებებით ხდება მათი გამოქვეყნება ან შენახვა), რომელიც არის გამოვლენილი, ან პირველად გამოყენებული პრაქტიკაში ან წარმოდგენილი წერილობით ფორმაში ან შემუშავებული პროექტის მსვლელობაში;
ცვლილებები შეთანხმებაში :	წერილობითი შეთანხმება, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან მათი სახელით და წინამდებარე შეთანხმების ნებისმიერი ახალი მხარე; და

2. პროექტი

- 2.1. პროექტი [დაიწყება] ან [დაიწყო] პროექტის დაწყების განსაზღვრულ თარიღში და გაგრძელდება [უფრო ადრეულ ეტაპზე გარე დაფინანსების მოხსნამდე და] პროექტის დასრულებამდე ან უფრო მოგვიანებით, მხარეებს შორის წერილობით შეთანხმებულ თარიღში, ან სანამ ეს შეთანხმება არ დასრულდება მე-8 ან მე-9 პუნქტების შესაბამისად. თუ ეს შეთანხმება ძალაში შევა პროექტის დაწყების თარიღის შემდეგ, ის რეტროსპექტულად გავრცელდება პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოზეც, რომელიც დაიწყო პროექტის დაწყების განსაზღვრულ დროს ან მის შემდგომ.
- 2.2. [დაწესებულებამ], კოლაბორატორმა ან [თითოეულმა მხარემ] უნდა შეასრულოს პროექტის გეგმაში მისთვის მინიჭებული დავალებები და უზრუნველყოს პროექტი ადამიანური და სხვა რესურსებით, მონაცემებით, მასალებით, შენობა-ნაგებობებით და აღჭურვილობით, რომელიც განსაზღვრულია მის პასუხისმგებლობაში პროექტის გეგმის შესაბამისად. პროექტი უნდა განხორციელდეს [მთავარი მკვლევარის] ან [კოლაბორატორის ზედამხედველის] ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობის ქვეშ. პროექტი განხორციელდება შეთანხმებაში მითითებულ ადგილზე.
- 2.3. [დაწესებულებამ] ან [თითოეულმა მხარემ] უნდა მიიღოს და დაიცვას ყველა მარეგულირებელი და ეთიკური ლიცენზიის პირობები, თანხმობა და ნებართვა, რომელიც აუცილებელია პროექტის გეგმით მისთვის მინიჭებული ამოცანების შესასრულებლად და უნდა განახორციელოს პროექტი ყველა იმ კანონის და რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ვრცელდება მის საქმიანობაზე წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში ან შესაბამისად.
- 2.4. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი თანამშრომლები და სტუდენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩართულნი იყვნენ პროექტში: დაიცვან ნებისმიერი მარეგულირებელი და ეთიკური ლიცენზიის, თანხმობისა და ნებართვის პირობები; აწარმოონ პროექტთან და შედეგებთან დაკავშირებით განხორციელებული ყველა კვლევის, მოვლენის და სხვა სამუშაოების სრული და ზუსტი ჩანაწერები, რომლებიც ხელმოწერილია იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც მიიღეს ან განახორციელეს თითოეული შედეგი, და მეორე მხარეს ხელმოწერილი იმ მხარის თანამშრომლის მიერ, რომელიც არ არის სამეცნიერო გუნდის წევრი, მაგრამ ერკვევა საქმეში; და უნდა იმოქმედოს მონაცემთა მართვის კარგი პრაქტიკის შესაბამისად.
- 2.5. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტში ჩართული მისი თანამშრომლები და სტუდენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (მათ შორის, კოლაბორატორის შემთხვევაში, ნებისმიერი ჯგუფის კომპანიის ნებისმიერი თანამშრომელი) მეორე მხარის შენობაში მუშაობის და ვიზიტის დროს დაიცავენ სხვა მხარის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას და უსაფრთხოების პოლიტიკას და პროცედურებს, ხოლო მეორე მხარის ინფორმაციულ სისტემებზე წვდომის ან გამოყენების დროს, დაიცავენ მეორე მხარის ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკას და პროცედურებს.

- 2.6. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალი, მისი თანამშრომლები და სტუდენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (მათ შორის, კოლაბორატორის შემთხვევაში, ნებისმიერი ჯგუფის კომპანიის ნებისმიერი თანამშრომელი) წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებამდე არ იქნება განრიდებული თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული გამომდინარეობს ძირითადი პერსონალის პირადი განცხადებით.
- 2.7. [[დაწესებულებამ] ან [თითოეულმა მხარემ] უნდა შეასრულოს მე-7 დამატებით მუხლში მოცემული დებულებანი. [[პროექტის მსვლელობის ნებისმიერ დროს, კოლაბორატორს შეუძლია მოითხოვოს ცვლილებები მე-7 დამატებითი მუხლის მე -3 ნაწილში, სადაც ასეთი ცვლილებები აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტი ხორციელდება კოლაბორატორის მოქმედი პოლიტიკისა და პროცედურების დაცვით.]]
- 2.8. მიუხედავად იმისა, რომ [დაწესებულება] ან [თითოეული მხარე] გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რათა განახორციელოს პროექტი გეგმის შესაბამისად, [დაწესებულებამ არ უნდა აიღოს ვალდებულება] ან [არცერთი მხარე არ იღებს ვალდებულებას], რომ რომელიმე კვლევა გამოიწვევს რაიმე კონკრეტულ შედეგს და არც იძლევა პროექტის წარმატებული შედეგის გარანტიას.
- 2.9. [დაწესებულებამ] ან [თითოეულმა მხარემ] უნდა მიაწოდოს [კოლაბორატორს] ან [სხვა მხარეს] [ყოველთვიური] [წლიური] ან [კვარტალური] ანგარიშები, რომლებიც შეაჯამებს პროექტის მიმდინარეობას და ასევე მიაწოდოს ყველა შედეგის ასლი.
- 2.10. [დაწესებულებამ] ან [თითოეულმა მხარემ] დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს [კოლაბორატორს] ან [სხვას] ნებისმიერი შედეგის დადგენის შემდეგ, რომელიც [დაწესებულებას] ან [მას] მიაჩნია პატენტუნარიანად და უნდა უზრუნველყოს [კოლაბორატორი] ან [სხვა] ამ შედეგის ასლებით. [დაწესებულებამ] ან [თითოეულმა მხარემ] უნდა აცნობოს [კოლაბორატორს] ან [სხვას] სხვა შედეგების შესახებ 2.8 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშებში.
- 2.11. თითოეული მხარე არწმუნებს მეორე მხარეს, რომ მას თავისი წესდების ფარგლებში აქვს სრული ძალაუფლება და უფლებამოსილება და მან შეასრულა ყველა საჭირო ქმედება და მიიღო ყველა საჭირო უფლება, ნებართვა, ლიცენზია და თანხმობა, ამ შეთანხმებაში მონაწილეობის მისაღებად და მისი პირობების დასაკმაყოფილებლად [და ის არ არღვევს დაფინანსების პირობებს].
- 2.12. თუ მხარე თანახმაა პროექტთან დაკავშირებით გადასცეს მეორე მხარეს [ბიოლოგიური ან ქიმიური] მასალა, ეს პროცესი დაექვემდებარება მხარეებს შორის დადებული მასალების გადაცემის ცალკე შეთანხმების პირობებს ამ მასალასთან დაკავშირებით.

[2.13. თუ დაფინანსების პირობები მხარეებმა უკვე არ მიიღეს, წინამდებარე შეთანხმება არის პირობითი, და ითვლისწინებს თითოეული მხარის მიერ დაფინანსების პირობების მიღებას დაფინანსების პირობების თარიღიდან [30] დღის განმავლობაში, და სთავაზობს გარე დაფინანსების უზრუნველყოფას.]

[2.14. თითოეულმა მხარემ უნდა:

2.14.1. შეასრულოს თავისი ვალდებულებები დაფინანსების პირობების შესაბამისად, თუ ის წარმოადგენს დაფინანსების პირობების მხარეს;

2.14.2. განახორციელოს პროექტი დაფინანსების პირობების შესაბამისად; და

2.14.3. დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს 10.1 პუნქტის შესაბამისად, თუ იგი მიიღებს რაიმე შეტყობინებას ან მოთხოვნას დაფინანსების ორგანოსგან.]

2.15. ვერცერთი დამატებითი პირი ვერ გახდება ამ შეთანხმების მხარე, კოლაბორატორის და დაწესებულების [და დაფინანსების ორგანოს] წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევის, როცა კოლაბორატორი და დაწესებულება გააფორმებენ ცვლილებების შეთანხმებას დამატებით პირთან დაკავშირებით.

